საქართველოს პარლამენტის ბიუროს

მოქალაქე **ნიკოლოზ ნიკოლაძის** პ/N
[redacted] ტელ.: [redacted] ელ. ფოსტა:
[redacted]

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 105-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ საკანონმდებლო წინადადებას „დიპლომატიური სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით რეგულირებულ იმ საკითხ(ებ)თან დაკავშირებით, რომლებთან მიმართებითაც ვფიქრობ, რომ საჭიროებს შემდომ დახვეწას.

დანართი:

- ✓ საკანონმდებლო წინადადება -МГИМО-ს და ანალოგიური სასწავლებლების კურსდამთავრებულთათვის დიპლომატიური სამსახურის გავლის შემაფერხებელი მექანიზმის შექმნის შესახებ;
- ✓ ინტერპრესნიუსის 14/02/2023 სტატია[1].

[1] იხ. ბმული: https://www.interpressnews.ge/ka/article/744793-polonetis-sagareo-sakmeta-saministrodan-qvela-diplomati-gaatavisuples-visac-moskovis-saertashoriso-urtiertobebis-instituti-akvs-damtavrebuli

საქართველოს პარლამენტის აპარატი
საქმისწარმოების დეპარტამენტი
შემოს.№ 1-7656/23
"31" 05 2023 წ. ფურცელი

<u>საქართველოს პარლამენტს</u>

საკანონმდებლო წინადადება

М Г И М О-ს კურსდამთავრებულთათვის დიპლომატიური სამსახურის გავლის შემაფერხებელი მექანიზმის შექმნის შესახებ

- **ცვლილების სახეობა:** „ დიპლომატიური სამსახურის შესახებ " საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ.
- **კანონის პროექტის მიღების დასაბუთება:** ინტერპრესნიუსში გამოქვეყნებული სტატიის შესაბამისად, პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროდან ყველა დიპლომატი გაათავისუფლეს, ვისაც მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობების სახელმწიფო ინსტიტუტი (М Г И М О) ჰქონდა დამთავრებული[2]. როგორც ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრი ზბიგნევ რაუ აცხადებს, ეს ინსტიტუტი საბჭოთა იმპერიალიზმის დიდი პროექტის ნაწილი იყო. ზბიგნევ რაუ განმარტავს, რომ „ М Г И М О-ს კურსდამთავრებულები იძულებული იყვნენ, რუსეთის იმპერიის სასარგებლოდ ემუშავათ ".
- საგულისხმოა, რომ „ დიპლომატიური სამსახურის შესახებ " საქართველოს კანონით (მე-17 მუხლის პირველი პუნქტი) განისაზღვრება დიპლომატიურ სამსახურში საქართველოს მოქალაქისათვის დანიშვნის[3] ზოგადი მოთხოვნა (უმაღლესი განათლების ქონა და საქართველოს სახელმწიფო ენის გარდა, ორი უცხოური ენის ცოდნა). ამავე მუხლის შესაბამისად - დიპლომატიურ სამსახურში მიღებასთან და დიპლომატიური სამსახურის გავლასთან დაკავშირებულ <u>სხვა საკითხებზე,</u> მოხელის კვალიფიკაციის დასადგენად, მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით <u>შეიძლება</u> დადგინდეს დამატებითი მოთხოვნები. თუმცა, არ კანონის და არც საკანონმდებლო აქტის საფუძველზე, განათლებასთან, კვალიფიკაციასთან თუ გამოცდილებასთან დაკავშირებული შემზღუდველი ნორმები არ წესდება.
- საგულისხმოა, რომ.საქართველოს მოქალაქეობის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს მოქალაქე

---

[2] ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრების ბიოგრაფიები იხილეთ შემდეგ ბმულზე: https://mfa.gov.ge/MainNav/DiplomatService/ex-ministers.aspx

[3] სამინისტროს დიპლომატიურ თანამდებობაზე დანიშვნა ხდება გადაყვანის წესით, კონკურსის წესით ან უკონკურსოდ

დაკარგავს საქართველოს მოქალაქეობას თუ საქართველოს კომპეტენტური ორგანოების ნებართვის გარეშე შევა სხვა ქვეყნის სამხედრო სამსახურში ან პოლიციის ან უშიშროების სამსახურში. თავისთავად ხსენებული უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრინციპებიდანაც უნდა გამომდინარეობს. ასეთ შემთხვევაში კი შესაძლოა ჩნდებოდეს ლეგიტიმური კითხვა რატომ არ შეიძლება ავიცილოთ საფრთხეები საჯარო სამსახურში, კერძოდ ისეთ ადმინისტრაციულ ორგანოებში დასაქმებისგან — სადაც წარმოებს საგარეო პოლიტიკის ფორმირება და აღსრულება, თავს იყრის ქვეყნის სამხედრო თუ უსაფრთხოების სხვა ინფორმაციული კომპონენტები.

- მოცემულ შემთხვევაში კი — ალბათ უნდა გაიმიჯნოს ის იერარქიული დონეც, სადაც შესაძლოა ხელეწიფებოდეს რიგ კონფიდენციალურ ინფორმაციასთან ან/და მონაწილეობს გადაწყვეტილებათა მიღების ფორმირების პროცესში. ასეთ განსაკუთრებული რისკის მქონეთანამდებობის პირებს შორის ვითარებაში დიპლომატიური სამსახურის შესახებ საქართველოს კანონით შესაძლებელია გამოვყოთ უმაღლესი დიპლომატიური თანამდებობის პირები, რომელთა შორისაც ხვდებიან (კანონის მე-12 მუხლი):
    - მინისტრის პირველი მოადგილე, მინისტრის მოადგილე;
    - სამინისტროს გენერალური დირექტორატის გენერალური დირექტორი;
    - სამინისტროს დეპარტამენტის დირექტორი;
    - საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი;
    - საერთაშორისო ორგანიზაციასთან საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი;
    - საერთაშორისო ორგანიზაციასთან საქართველოს წარმომადგენელი;
    - გენერალური კონსული;
    - საგანგებო დავალებათა ელჩი;
    - ევროჯასტში მეკავშირე პროკურორი.

სწორედ, რომ მოცემული თანამდებობრივი კატეგორიის პირებთან მიმართებით, საგარეო პოლიტიკური უწყების ხელმძღვანელთან ერთად, დაუწესდეს შემზღუდველი ნორმები (დიპლომატიური სამსახურის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის გზით) თანამდებობაზე დანიშვნა/ გადაყვანის პროცედურებთან დაკავშირებით — ან ვაკანტურ ადგილზე დანიშვნის შესაძლებლობის სრული აკრძალვით, ან/და მხოლოდ იმ პირობით, თუ წარმოდგენილი იქნება კომპენტენტურ ორგანოსთან სწავლების პროცესის შეთანხმების საკითხი (ანალოგიური პრინციპი, რაც მოქალაქეობასთან მიმართებით დგინდება).

საკანონმდებლო წინადადების ავტორი:

საქართველოს მოქალაქე ნიკოლოზ ნიკოლაძე, პირადი ნომერი [redacted] მცხ.: ქ. [redacted] საფოსტო ინდექსი [redacted] ელ. ფოსტა: [redacted] მობ.: [redacted]



31/05/2013

Polska dyplomacja wolna od rosyjskiego MGIMO

Dodano: 14/02/2023 - Numer 3370 - 14.02.2023

WYWIAD \ Z prof. ZBIGNIEWEM RAUEM, ministrem spraw zagranicznych, rozmawiają KATARZYNA GÓJSKA i TOMASZ SAKIEWICZ

Odsłuchaj artykuł »

Moskiewski Państwowy Instytut Stosunków Międzynarodowych (MGIMO) był inwestycją w funkcjonowanie rosyjskiego imperializmu. To element sowieckiej soft power. Absolwenci mieli służyć racji stanu tego imperium – mówi minister spraw zagranicznych Zbigniew Rau.

Czy nadal mamy w MSZ dyplomatów po MGIMO?

Już nie.

Od kiedy ich nie mamy?

Realnie od dwóch miesięcy.

A dlaczego ich nie ma?

Ponieważ udało nam się zamknąć pewien bardzo ważny proces, który jest częścią szeroko rozumianej dekomunizacji. Zaczęła się ona od ustaw lustracyjnych.

Dekomunizacja w Polsce niestety nie nastąpiła.

W Polsce mieliśmy ustawy lustracyjne. Pierwsza dotycząca resortu była w 1998 r., później w 2006 r.

რადიო
თავისუფლება

ახალი ამბები

პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროდან დაითხოვეს მოსკოვის МГИМО-ს ყველა კურსდამთავრებული

თებერვალი 14, 2023

პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს შენობა ვარშავაში

პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში არ დარჩა მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობების სახელმწიფო ინსტიტუტის (МГИМО) კურსდამთავრებული. გაათავისუფლეს ყველა თანამშრომელი, ვისაც დამთავრებული აქვს ეს უნივერსიტეტი, რომელიც რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს უწყებრივი უნივერსიტეტია.

ამის შესახებ პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ზბიგნევ რაუმ განაცხადა 14 თებერვალს Polska Codziennie-სთვის მიცემულ ინტერვიუში. მისი თქმით, პოლონეთის დიპლომატია უკვე ორი თვეა „გათავისუფლდა რუსეთის МГИМО-სგან“.

„მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობების სახელმწიფო ინსტიტუტი იყო ინვესტიცია რუსული იმპერიალიზმის საქმიანობაში. ეს საბჭოთა რბილი ძალის ნაწილია. კურსდამთავრებულებს უნდა ემსახურათ ამ იმპერიის ცნობიერებისთვის,“ მოჰყავს გაზეთს მინისტრის სიტყვები.

„ჩვენ მოვახერხეთ, დაგვეხურა მნიშვნელოვანი პროცესი, რაც დეკომუნიზაციის ნაწილია ფართო გაგებით,“ დასძინა პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა.

რადიო თავისუფლება, RFE/RL, Inc. ყველა უფლება დაცულია